


სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის
აკადემია



სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ბანკითარების სტრატეგიული გეგმა
2018-2024 წ.წ.

ბორი
2018 წელი

- შესავალი..... 4
- ეროვნული თავდაცვის აკადემიის ხედვა 2018-2024 წ.წ..... 5
- ეროვნულ თავდაცვის აკადემიის პასუხისმგებლობის სფერო..... 6
- ეროვნული თავდაცვის აკადემიის სწავლისა და სწავლების კონცეფცია..... 7
- სამხედრო და სამოქალაქო განათლების ინტეგრირება..... 8
- ეროვნული თავდაცვის აკადემიის სტრუქტურა..... 9
- სტრატეგიული მიზნები..... 10
- სტრატეგიული მიზანი 1- აკადემიური/სამხედრო საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება..... 11
- სტრატეგიული მიზანი 2 - იუნკერთა/მსენელთა სერვისების განვითარება..... 19
- სტრატეგიული მიზანი 3 - ადამიანური რესურსის განვითარება..... 21
- სტრატეგიული მიზანი 4 - განათლების ხარისხის უზრუნველყოფის განვითარება..... 25
- სტრატეგიული მიზანი 5 - სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის განვითარება..... 28
- სტრატეგიული მიზანი 6 - საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება..... 31
- სტრატეგიული მიზანი 7 - აკადემიის ცნობადობის ამაღლება..... 37
- სტრატეგიული მიზანი 8 - აკადემიის ინფრასტრუქტურა და მატერიალური ბაზის განვითარება..... 41



სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის შვიდ წლიანი განვითარების სტრატეგია არის ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას იძლევა ეთა-მ წარმატებულად მიაღწიოს დასახულ ამოცანას. სტრატეგია შემუშავდა აკადემიის რექტორის ხელმძღვანელობით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ და საფუძვლად დაედო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმძღვანელო დოკუმენტები.

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის განვითარების შვიდ წლიანი სტრატეგიის დოკუმენტი ეფუძნება აკადემიის, როგორც აკადემიური/სამხედრო, საგანმანათლებლო, კვლევითი და კულტურული მიზნების განმახორციელებელი საზოგადოებრივი ორგანიზაციის, განვითარებას, ორგანიზაციული საქმიანობის ეფექტურობის განმტკიცებას. საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული, პროფესიული და სამეცნიერო საქმიანობის, იუნკერთა/მსმენელთა მხარდაჭერისა და განვითარების პლატფორმის განვითარებას.

ეროვნული თავდაცვის აკადემიის მისია, ხედვა, სამოქმედო და გრძელვადიანი გეგმების ერთიანობა უზრუნველ-ყოფილია აკადემიის განვითარების წინამდებარე სტრატეგიით, რომელიც მოიცავს დაწესებულების განვითარების პრიორიტეტებს, სამ წლიან სამოქმედო და გრძელვადიანი განვითარების შვიდწლიან გეგმებს.



აკადემიის ხელვა

ეთა მომავალ წლების განმავლობაში უნდა გახდეს უფრო წარმატებული, მაღალ რეინტინგული და მაღალი სტატუსის მქონე სამხედრო სასწავლო ორგანიზაცია, რომელიც გაცილებით მაღალ დონეზე შეძლებს მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას, უკეთ დააკმაყოფილებს საქართველოს შეიარაღებული ძალების, როგორც დღევანდელ ისე სამომავლო მოთხოვნებს და გამონვევებს. ეთა - მ ასევე, კონკურენცია უნდა გაუწიოს საქართველოს სხვა სამოქალაქო უნივერსიტეტებს და დასახული ამოცანები უნდა შეასრულოს სწავლების ხარისხის ამაღლების და თანამედროვე მენეჯმენტის მეთოდების დანერგვით.



აკადემიის პასუხისმგებლობის სფერო

ერთნული თავდაცვის აკადემია პასუხისმგებელია ოფიცრის საწყისი სამხედრო და აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატი), ოფიცრის შუალედური სამხედრო, სამეთაურო-საშტაბო განათლების, აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის (მაგისტრატურის) საგანმანათლებლო და სასწავლო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაზე. აკადემია პასუხისმგებელია ენობრივი მომზადების სკოლის მიერ უცხოური ენების სწავლებაზე, აგრეთვე ეთნიკური უმცირესობათათვის ქართულ ენაში მომზადების პროგრამის განხორციელებაზე, რათა მოხდეს მათი ინტეგრაცია სამოქალაქო სექტორსა და საქართველოს შეიარაღებულ ძალებში.

ერთნულ თავდაცვის აკადემიაში განხორციელდება ისეთი ცოდნის მიღება-გაღრმავება, რომელიც ხარისხთან ერთად გამრდის თავდაცვის სისტემის ეფექტურობას და შესაბამისად „ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე ხიდად“ გამოდგება.

აკადემიის მისიას წარმოადგენს შეიარაღებული ძალების და ქვეყნის ერთგული და ღირსეული სამსახურისთვის უმაღლესი აკადემიური და სამხედრო განათლების, მაღალი ეთიკის, მტკიცე მორალის და ლიდერის თვისებების მქონე ოფიცერთა კორპუსის მომზადება.



სწავლის და სწავლების კონცეფცია

აკადემიის სწავლისა და სწავლების კონცეფცია ოფიცერთა აკადემიური ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების მიღებას და პიროვნული ხასიათის განვითარებას ითვალისწინებს.

აკადემიური ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები გულისხმობს ოფიცერთა:

- ინტელექტუალურ განვითარებას;
- აკადემიურ და სამხედრო კომპეტენციების განვითარებას;
- ფიზიკურ აღზრდასა და სოციალური უნარების გამომუშავებას;
- სამხედრო სახის ამოცანების და დავალებების შესრულების, თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიღებას;

პიროვნული ხასიათის განვითარება გულისხმობს ოფიცერთა:

- ჰუმანურ განვითარებასა და ეთიკურ აღზრდას;
- სამხედრო-პატრიოტულ აღზრდას;

შესაბამისად, სასწავლო პროცესი რამდენიმე საფუძველმდებარე პრინციპის მიხედვით მიმდინარეობს.

ესენია:

- საფეხუროვანი სისტემა;
- მკაცრი დისციპლინა;
- ჯანსაღი ცხოვრების წესი;
- პიროვნული და პროფესიული ღირსების განვითარება;
- პროფესიული ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბება;
- იუნკერთა/აკადემიური პერსონალის/სამხედრო ინსტრუქტორების მჭიდრო ინტერაქცია;
- გუნდური პასუხისმგებლობა და გუნდური მუშაობის უნარების განვითარება;
- ლიდერობის განვითარება;
- შეფასების გამჭვირვალე სისტემა.




სამხედრო და სამოქალაქო განათლების ინტეგრირება

ეროვნული თავდაცვის აკადემიაში სამხედრო და სამოქალაქო განათლება ინტეგრირებულია. აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამები აგებულია ისე, რომ იუნკერები იღებენ როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო განათლებას. სამოქალაქო და სამხედრო განათლების ინტეგრირება მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ აკადემიის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ჰქონდეს თავისი თავის რეალიზაცია მოხდინოს არა მხოლოდ სამხედრო, არამედ სამოქალაქო სექტორში. სამხედრო განათლება უზრუნველყოფს საქართველოს შეიარაღებული ძალებისთვის მაღალი კვალიფიკაციის ოფიცრების მომზადებას. სამოქალაქო სპეციალობები არჩეულია შეიარაღებული ძალების მოთხოვნის შესაბამისად და ითვალისწინებს როგორც მის სპეციფიკას, ასევე სამოქალაქო შრომის ბაზრის მოთხოვნებს.



აკადემიის სტრუქტურა



სტრატეგიული მიზნები

განვითარების სტრატეგიული გეგმის თარგლებში გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი გამოწვევები, სტრატეგიული მიზნები, რომლებიც ამავე დროს წარმოადგენს შესაძლებლობას აკადემიის განვითარებისათვის.

სტრატეგიული მიზანი 1

აკადემიური/სამხედრო საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება

სტრატეგიული მიზანი 2

იუნკერთა/მსენელთა სერვისების განვითარება

სტრატეგიული მიზანი 3

ადამიანური რესურსის განვითარება

სტრატეგიული მიზანი 4

განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება

სტრატეგიული მიზანი 5

სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის განვითარება

სტრატეგიული მიზანი 6

საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება

სტრატეგიული მიზანი 7

აკადემიის ცნობადობის ამაღლება

სტრატეგიული მიზანი 8

აკადემიის ინტრასტრუქტურა და მატერიალური ბაზის განვითარება.



სტრატეგიული მიზანი 1

აკადემიური/სამხედრო საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება

ერთვნიული თავდაცვის აკადემიის განათლების სისტემა მოქმედებს უწყვეტი საფეხურობრივი პრინციპით. აკადემია ანხორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების I და II საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა), ოფიცრის სანყის და შუალედურ სამხედრო განათლების და ენობრივი მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებს.

ერთვნიული თავდაცვის აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება შემდეგ პრიორიტეტულ მიმართულებებს მოიცავს:

1. საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწა/გამუჭობებსებას;
2. ახალი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება/განხორციელებას;
3. ბაკალავრიატის და მაგისტრატურის (4+1) საგანმანათლებლო პროგრამების ჩამოყალიბება განვითარებას;
4. ახალი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დამატებას
5. ინგლისურენოვანი მოდულის დამატებას სამეთაურო საშტაბო კურსზე და საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე;
6. თავდაცვის უმაღლესი კურსის (სტრატეგიული დონე) ამოქმედებას;
7. საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაცია;
8. ერთვნიული და საერთაშორისო აკრედიტაციის მიღებას;
9. უცხოური ენების სწავლების სისტემის შემდგომ ოპტიმიზაციას შეიარაღებული ძალების მოთხოვნების შესაბამისად.



საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწა/გაუმჯობესება

არსებული საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწა და გაუმჯობესება მუდმივი პროცესია. საქართველოს შეიარაღებული ძალების მომავალ და არსებული ოფიცრებს უნდა ჰქონდეთ ცოდნა, რომელიც ეფუძნება მეცნიერების და ტექნოლოგიების თანამედროვე მიღწევებს და უნდა შეეძლოთ ცოდნის გამოყენება საქართველოს შეიარაღებული ძალების წინაშე მდგარი გამოწვევების გადასაჭრელად. პროგრამები განხორციელებული იქნება კონკრეტულ დარგში სამოქალაქო და სამხედრო სპეციფიკის გათვალისწინებით სწავლა-სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებზე დაყრდნობით.

აკადემიაში ღონისძიებები მიმართული იქნება საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწა/ გაუმჯობესებისაკენ: ყოველი საგანმანათლებლო ეტაპის (სემესტრი, სასწავლო კურსი, პროგრამა) დასრულების შემდეგ ჩატარდება განხორციელების ანალიზი და დაიგეგმება გამჯობესებისათვის საჭირო ნაბიჯები. პერიოდულად მოხდება საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმის გადახედვა და მიღებული გამოცდილებიდან და თანამედროვე ტენდენციების მოთხოვნების შესაბამისად ცვლილებების შეტანა;

საგანმანათლებლო პროგრამების გასაუმჯობესებლად აქტიურად იქნებიან ჩართული უცხოელი ექსპერტები; სამხედრო განათლების განვითარების პროგრამა DEEP-ის დახმარებით რეგულარულად მოხდება უცხოელი სპეციალისტების მოწვევა პროგრამების და სილაბუსების გარე ექსპერტიზისთვის. ამ მიმართულებით გაგრძელდება აკადემიის პროფესორ-მასწავლებლებისთვის უცხოელი სპეციალისტების მიერ ტრენინგების და სამუშაო შეხვედრების ჩატარება.

საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწის მიმართულებით სტრატეგიული მიზნის მისაღწევად გაძლიერებული იქნება მემოთ აღნიშნული აქტივობები, გაიზრდება უცხოელი ექსპერტების ჩართულობა და აკადემიურ პერსონალს და მასწავლებლებს მიეცემა უფრო მეტი შესაძლებლობა კვალიფიკაციის ამაღლების და გამოცდილების გაზიარების მიზნით, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ.



**ახალი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების
შემუშავება/განხორციელება;**

ერთვნილი თავდაცვის აკადემიის მიზანია შეიმუშავოს და განახორციელოს აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც შეესაბამება საქართველოს შეიარაღებული ძალების მოთხოვნებს.

საგანმანათლებლო პროგრამები უნდა უზრუნველყოფდეს მაღალი კვალიფიკაციის ოფიცრების მომზადებას იმ სამოქალაქო სპეციალობებში, რომელიც პრიორიტეტულია საქართველოს შეიარაღებული ძალებისთვის.

საბაკალავრო დონეზე შეიარაღებული ძალებისთვის მნიშვნელოვანი სამოქალაქო სპეციალობების გამოსავლენად და მათი სწავლის შედეგების განსასაზღვრავად ეთა თანამშრომლობს წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობასთან, სპეციალიზაციის კურსების უფროსებთან;

**ბაკალავრიატის და მაგისტრატურის (4+1) საგანმანათლებლო
პროგრამების ჩამოყალიბება განვითარება.**

ერთვნილი თავდაცვის აკადემია გეგმავს შეიარაღებული ძალები-სთვის მაგისტრის აკადემიური ხარისხის ოცმეთაურების მომზადებას, რაც გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესის ისეთი სისტემის შემუშავებას, რომელშიც საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ იუნკერებს, რომლებიც ჩააბარებენ საერთო სამაგისტრო გამოცდებს, შესაძლებლობა მიეცეთ სწავლა გააგრძელონ სამაგისტრო პროგრამაზე, რომლის დასრულების შემდეგ იუნკერები გადანაწილდებიან სპეციალიზაციის კურსებზე.

ეთას ამოცანა:

საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამების განხორციელება მაქსიმალურად ეფექტურად უნდა იყოს დაგეგმილი, რომ უზრუნველყოს დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლო შემჭიდროვებულ ვადებში. კანონმდებლობით დღეს დაგეგმილი ბაკალავრიატის (მინ. 240 კრედიტი) და მაგისტრატურის (მინ. 120 კრედიტი) მოცულობის პირობებში აკადემიური განათლების I და II საფეხურის ციკლი უნდა განხორციელდეს 5-5.5 წელში (სასწავლო წელი - მაქს.75 კრედიტი).



ბაკალავრიატის 180 კრედიტიანი და მაგისტრატურის 90 კრედიტიანი პროგრამების განხორციელების შესახებ უმაღლეს განათლებაში საკანონმდებლო ცვლილებების მიღების შემთხვევაში აკადემია შემუშავებს საგანმანათლებლო პროგრამებს საგანმანათლებლო მოთხოვნების და ახალი შესაძლებლობების შესაბამისად. კრედიტების აღნიშნული ცვლილება გააჩენს ორივე საფეხურის 4-4,5 წელში განხორციელების შესაძლებლობას.

აღნიშნული პროგრამების განხორციელება უზრუნველყოფს შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა განათლების დონის ამაღლებას და უზრუნველყოფს მის დაკომპლექტებას მინიმუმ მაგისტრის აკადემიური ხარისხის ოფიცრებით. იგეგმება აღნიშნული პროგრამების განხორციელება როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზე;

პროგრამების განხორციელებისას ყურადღება გამახვილდება საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომ განვითარებასა და შეიარაღებული ძალების საჭიროებებზე კიდევ უფრო მეტად მორგებას. აკადემიაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების სტრატეგია, რომლის მიხედვით გაიწერება სამოქმედო გეგმა.

ახალი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დამატება;

ეთაში დაგეგმილია სამეთაურო-საშტაბო ვოლენტში სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების მიმართულებით სამაგისტრო პროგრამების შემუშავება (ევროპის უსაფრთხოების კვლევები და/ან თავდაცვის რესურსების მართვა). იგეგმება აღნიშნული პროგრამების განხორციელება როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზე; საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტიგენტი იქნება როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მსმენელები.

ინგლისურენოვანი მოდულის დამატება სამეთაურო საშტაბო კურსზე და საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე;

იგეგმება მუშაობის დაწყება სამეთაურო საშტაბო კურსის კურიკუ-ლუმის ინგლისურ ენაზე მოსამზადებლად. უცხოელი მსმენელების მოწვევის მიზნით იგეგმება კურსის სათვის NATO-ს პარტნიორობა სწავლებისა და განათლების ურთიერთქმედებისათვის (PTEC) სტანდარტებით აკრედიტაცია და საერთა-შორისო, პირველი ეტაპისათვის რეგიონალური მნიშვნელობის სტატუსის მოპოვება.



ცალკეულ სასწავლო კურსებს ეთა ინგლისურ ენაზე სთავაზობს იუნკერებს. იგეგმება ინგლისურენოვანი სასწავლო კურსების რაოდენობის გაზრდა, რაც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას, ინტერნაციონალიზაციას.

სტრატეგიული დონის სამხედრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და განვითარება (თავდაცვის უმაღლესი კურსი)

ეთა გეგმავს სამეთაურო საშტაბო კოლეჯში სტრატეგიული დონის სამხედრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას. აღნიშნული კურსი უნდა მოიცავდეს ოპერატიულ და სტრატეგიულ-პოლიტიკურ დონეებს და მის სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენს უფროსი ოფიცრები (პოლკოვნიკი, ვიცე-პოლკოვნიკის წოდებით) და სამოქალაქო პირები.

მომავალში დაგეგმილია კურსის გაზრდა ომის კოლეჯის ექვივა-ლენტ პროგრამამდე (ოფიცერთა უმაღლესი სამხედრო განათლება) და შემუშავდება აკადემიური უმაღლესი განათლების III საფეხურის (დოქტორანტურის) საგანმანათლებლო პროგრამა.

საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაცია

ინტერნაციონალიზაცია მოიცავს იუნკერთა და აკადემიური პერსონალის მობილობას, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას, ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამებს და კვლევითი პროექტების ფარგლებში საერთაშორისო თანამშრომლობას.

ინტერნაციონალიზაცია ხელს უწყობს აკადემიის საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციას და სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებას. ინტერნაციონალიზაცია ნიშნავს სწავლების პროცესის დაახლოებას საერთაშორისო სტანდარტებთან, აკადე-მიური პოტენციალის გაუმჯობეს, კვლევის ხარისხის ამაღლებას, კურიკულუმების შემუშავებას და დახვეწას.



იგეგმება ქართულენოვან სასწავლო კურსებთან ერთად, ინგლისურენოვანი კურსების განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს არა მხოლოდ ენობრივი დონის ამაღლებას, არამედ საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებასაც. ვინაიდან ასეთი კურსები შეიძლება წაიყვანონ არა მხოლოდ ქართველმა პროფესორებმა, სამღვაწეაგარეთიდან მონვეულმა, წამყვანი უმაღლესი სასწავ-ლებლების პროფესორ-მასწავლებლებმაც.

ეროვნული და საერთაშორისო აკრედიტაცია

აკრედიტაცია არის გარე შეფასების მექანიზმი, რომელიც განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობას; ეს არის პროცედურა, რომლითაც უფლებამოსილი ორგანო იძლევა ოფიციალურ აღიარებას, რომ საგანმანათლებლო პროგრამით შესაძლებელია დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევა და კურსდამთავრებულების კვალიფიკაცია შეესაბამება საგანმანათლებლო სივრცის მოთხოვნებს. აკრედიტაცია ადგენს ხარისხის ნიშნულს, რომლის მიხედვითაც ფასდება საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის დონე.

საგანმანათლებლო პროგრამების ეროვნული და საერთაშორისო აკრედიტაცია ნიშნავს, რომ საგანმანათლებლო პროგრამები შეესაბამება შიდა და საერთაშორისო საგანმანათლებლო ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს. და შესაბამისად, ეს არის ის ინფორმაცია სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის და დაინტერესებული პირებისთვის, რაც უმეტესწილად განსაზღვრავს მათ ინტერესს და ნდობას საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილეობის ან თანამშრომლობისთვის.

გამომდინარე მემოთქმულიდან, ყველა აკადემიურ და სამხედრო საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით განხორციელდება სამუშაოები აკრედიტაციის მისაღებად; სამხედრო პროგრამები გაივლიან თავდაცვის სამინისტროს სტანდარტებთან შესაბამისობის პროცედურას. იგეგმება მუშაობა ნატოს აკრედიტაციის მისაღებად, რომლის პირველი ეტაპია პროგრამების ნატოს კატალოგში მოსახვედრა, რაც იქნება მნიშვნელოვანი ფაქტორი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის დასადასტურებლად და უცხოელი მსმენელების მოსამიდად.



**უცხოური ენების სწავლების სისტემის შემდგომი ოპტიმიზაცია
შეიარაღებული ძალების მოთხოვნების შესაბამისად.**

ეთას მიზანია უცხოური ენების სწავლების სისტემის განვითარება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად დაგეგმილია სამუშაოები საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესება/დახვეწისადმი, პედაგოგების კვალიფიკაციის ასამაღლებლად და გადასამზადებლად. იგეგმება ენების სწავლების საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართვა პედაგოგების გადამზადების და საგანმანათლებლო პროგრამების გასაუმჯობესებლად, პედაგოგების საერთაშორისო სერთიფიცირება.

სასწავლო პროცესის ეფექტურობის გასაძლიერებლად, ამავე დროს, უცხოური ენის ცოდნის დონის შესანარჩუნებლად დაგეგმილია დისტანციული სწავლების პორტალის ამოქმედება, რისთვისაც საჭიროა შემდეგი სამუშაოების ჩატარება:

- ელექტრონული პლატფორმის მომზადება, სასწავლო მასალის მომზადება/ აბვირთვა, ვიდეო გაკვეთილების ჩაწერა, კურსის სატესტო რეჟიმში გაშვება
- ყველა სასწავლო კურსისთვის დისტანციური სწავლების კურსის შექმნა
- ენობრივი მომზადების სკოლაში პროგრამების განვითარება მიზნად ისახავს როგორც საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეებისთვის უცხოური ენების სწავლებას, ასევე უცხოელი მსმენელების მოზიდვას.

მიზნის მიღწევის გზები

- პროგრამების გაჩე შეფასება უცხოელი ექსპერტების მიერ;
- თანამშრომლობის მემორანდუმები სამღვარგარეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;
- აკადემიის ბიუჯეტი;
- თავდაცვის სამინისტროს მხარდაჭერა;
- კვალიფიციური კადრები;



ჩართული მხარეები

- აკადემიის პროფესორ-მასწავლებლები, კურსის უფროსები, ინსტრუქტორები;
- მონვეული სპეციალისტები;
- თავდაცვის სამინისტრო;
- კიბერუსაფრთხოების ბიურო;
- DEEP;

მოსალოდნელი შედეგები:

- საგანმანათლებლო პროგრამები შემუშავებულია;
- ყველა აკადემიურ პროგრამას მიღებული აქვს აკრედიტაცია;
- ყველა სამხედრო პროგრამას გავლილი აქვს სტანდარტებთან შესაბამისობის პროცედურა;
- საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე შეთავაზებულია ცალკეული სასწავლო; კურსები ინგლისურ ენაზე;
- მინიმუმ ერთი პროგრამა ჩასმულია ნატოს კატალოგში;
- შექმნილია ენობრივი მომზადების ელექტრონული პლატფორმა;
- ენობრივი მომზადების სკოლის პედაგოგების 50%-ს გავლილი აქვს საერთაშორისო სერთიფიცირება;

განხორციელების რისკები

- აკადემიის შემლუდული ბიუჯეტი;
- უცხოელი პარტნიორის არასაკმარისი მზაობა თანამშრომლობისთვის;
- არასაკმარისი კვალიფიკაციის პერსონალი;
- ფორსმაჟორული სიტუაციები;



სტრატეგიული მიზანი 2

იუნკერთა/მსმენელთა სერვისები

იუნკერთა/მსმენელთა სერვისების განვითარება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ეროვნული თავდაცვის აკადემიისთვის. აღნიშნული სტრატეგიული მიზნის მისაღწევად აკადემიაში შემუშავებული იქნება

იუნკერთა/მსმენელთა ინფორმირების პოლიტიკა. განვითარებული იქნება დანერგილი საკონსულტაციო სერვისები, იუნკერებისთვის/მსმენელებისთვის შეთავაზებული იქნება კურიკულუმს გარეშე აქტივობები; იუნკერთათვის/მსმენელებს გააგრძელებენ მონაწილეობას საერთაშორისო პროექტებში, გაცვლით პროგრამებში; დაიხვეწება და განვითარდება სტიპენდიის სისტემა; აკადემიაში გააგრძელდება არსებული იუნკერთა/მსმენელთა დამზღვევით, უფასო სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა; განხორციელდება სტაჟირებები საქართველოს შეიარაღებული ძალების სხვადასხვა ქვედანაყოფებში;

მიღწევის საშუალებები:

- საუკეთესო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა
- გამართული სასწავლო პროცესი
- ხარისხიანი განათლება
- კვალიფიციური პერსონალი
- დაფინანსება
- გაცვლითი პროგრამები
- კურიკულუმს გარეშე აქტივობები
- კვლევები ამ მიმართულებით



მოსალოდნელი შედეგები:

- მსმენელთა/იუნკერთა სერვისების გამართული სისტემის არსებობა

ჩართული მხარეები:

- ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულები
- სასწავლო ბატალიონი
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
- ადმინისტრაცია

განხორციელების რისკები:

- გაუთვალისწინებელი ფინანსური ხარჯების წარმოშობა



სტრატეგიული მიზანი 3

ადამიანური რესურსის განვითარება

ერთვნილი თავდაცვის აკადემიის ერთ-ერთ პრიორიტეტს პროფესიონალი და კვალიფიციური თანამშრომლების მოზიდვა, მათი შემდგომი განვითარება და შენარჩუნება წარმოადგენს.

ადამიანური რესურსების განვითარების ხედვა

აღნიშნული მიზნის მისაღწევად აკადემიის მუშავდება აკადემიის ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგია, რის შესაბამისადაც მოხდება აკადემიის მოსამსახურეთა ყოველწლიური შეფასება, შედეგების ანალიზი და განისაზღვრება გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის გზები. შეფასებები შეეხება, როგორც სამხედრო პერსონალს, ასევე სამოქალაქო მოსამსახურეთა (აკადემური და დამხმარე პერსონალი) კვალიფიკაციის შეფასებას.

ახალი საშტატო სტრუქტურა

ახალი საჯარო სამსახურის კანონის გათვალისწინებით აკადემიაში განხორციელდება საშტატო-სტრუქტურული რეორგანიზაცია, რაც გამოიწვევს საჯარო სამსახურის მოსამსახურეთა ახალი რანგირებისა და კატეგორიების განსაზღვრას. აღნიშნული ცვლილებების შესაბამისად განახლდება და დამტკიცდება საჯარო მოსამსახურეების სამუშაო აღწერილობები. პარალელურად, ძირითადი საშტატო სტრუქტურიდან გამოიყოფა დამხმარე პერსონალი, რომელთანაც მოხდება ინდივიდუალურად სახელშეკრულებო ვალდებულებების განსაზღვრა.



მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლება

თანამშრომელთა განათლების/კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით აკადემია განაგრძობს სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციასთან თანამშრომლობას და პერსონალის შესაბამის კურსებზე/ტრენინგებზე გაგზავნას. აკადემიის მოსამსახურეების ჩართულობა სხვადასხვა სასწავლო, სამეცნიერო, სპორტულ და პროფესიონალურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ღონისძიებაში იქნება მისასაღმებელი და აკადემიის მხრიდან ყოველმხრივ მხარდაჭერილი. აკადემიაში კვალიფიციურ თანამშრომელთა შენარჩუნების მიზნით მოხდება მათი ნახალისების ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

მიზნის მიღწევის გზები

- აკადემიის ბიუჯეტი;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი;
- აკადემიის ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგია;
- თავდაცვის სამინისტროს სიტემაში მიმდინარე პირადი შემადგენლობის განვითარების საგანმანათლებლო-საკვალიფიკაციო კურსები;
- უცხოელი პარტნიორებისა და ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებული ვ/შ-ბის განვითარების საგანმანათლებლო-საკვალიფიკაციო კურსები;
- სხვა სახელმწიფო და კერძო კომპანიების მიერ დაგეგმილი მოსამსახურეთა სპეციალიზაციის კურსები;
- აკადემიაში პირადი შემადგენლობის (სამხედრო მოსამსახურე, საჯარო მოსამსახურე, აკადემიური პერსონალი, დამხმარე პერსონალი) შეფასების სისტემის შემუშავება/განხორციელება;



მოსალოდნელი შედეგები:

- აკადემიის მსახურობს/დასაქმებულია კვალიფიციური პირადი შემადგენლობა (სამხედრო მოსამსახურე, საჯარო მოსამსახურე, აკადემიური პერსონალი, დამხმარე პერსონალი);
- აკადემიის მოსამსახურეები კვალიფიკაციას იმაღლებენ საქართველოსა და უცხოეთის საგანმანათლებლო-სასწავლო დაწესებულებებში;
- აკადემიის საშუალო სტრუქტურა და სახელდასოვანი განაკვეთი განისაზღვრება საჯარო მოსამსახურის კანონისა და სხვა საკანონმდებლო აქტების მოთხოვნათა შესაბამისად;
- აკადემიის მოსამსახურეთა (გარდა სამხედრო მოსამსახურეების) საკარიერო განვითარება მიმდინარეობს საჯარო მოსამსახურის მოთხოვნათა შესაბამისად;

ჩართული მხარეები:

- აკადემიის ადმინისტრაცია;
 - ადამიანური რესურსების განყოფილება;
 - იურიდიული სამმართველო;
- აკადემიის საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილება;
- აკადემიის სასწავლო სამსახური;
- თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიული ადამიანური რესურსების დაგეგმვის დეპარტამენტი;
- საქართველოს სამხედრო და სამოქალაქო სასწავლო ორგანიზაციები;
- უცხოეთის პარტნიორი ქვეყნების სასწავლო დაწესებულებები;
- საქართველოს საჯარო მოსამსახურის ეროვნული ბიურო;



განხორციელების რისკები:

- ფინანსური შეზღუდვები;
- საკანონმდებლო ცვლილებების არ განხორციელება, დაკავშირებული საჯარო სამსახურის კანონის მოთხოვნების საგანმანათლებლო სსიპ-ებზე;
- აკადემიაში ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგიის არასათანადოდ შემუშავება და აღსრულება;
- აკადემიის მოსამსახურეთათვის არასათანადოდ სპეციალიზიკაციო მოთხოვნების დანესება.



სტრატეგიული მიზანი 4

განათლების ხარისხის უზრუნველყოფის
სისტემის განვითარება

სტრატეგიული მიზანი-განათლების ხარისხის უზრუნველყოფის განვითარება მიზნად ისახავს აკადემიის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის შეფასებას, სწავლების ხარისხის ამალღების ხელშეწყობას, აკადემიის მართვის ეფექტიანობის მონიტორინგს. ამასთანავე განსაზღვრავს მეთოდოლოგიურ ნაწილს საგანმანათლებლო პროგრამების და სამეცნიერო კვლევითი მუშაობის მიმართულებით.

აკადემიაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა გააგრძელოს მუშაობა შემდეგი მიმართულებებით: საგანმანათლებლო პროგრამების და ნორმატიული დოკუმენტების ექსპერტიზა, შეფასება/კვლევა, მონიტორინგი და ტრენინგი.

აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უნდა იყოს ინიციატორი ხარისხის კულტურის განვითარების სწორი მექანიზმების იდენტიფიცირებისა, როგორც აკადემიურ, ისე სამხედრო განათლებაში. ამ მიმართულებით უნდა განხორციელდეს პროექტები, კვლევები, რათა მოხდეს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება. აღნიშნულ პროექტში უნდა ჩაერთონ თავდაცვის სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები. ასევე პროექტში აკადემიაში სასწავლო პროცესის ინტერაქციონალიზაციის ხელშეწყობის კუთხით ჩართული უნდა იყვნენ უცხოური სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამისი სამსახურების წარმომადგენელი.

უნდა გაგრძელდეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაიდლაინების და ინსტრუქციების მომზადება.



მიზნის მიღწევის გზები

- კვალიფიციური ადამიანური რესურსი;
- აკრედიტირებული საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები;
- მაღალკვალიფიციური აფილირებული აკადემიური პერსონალი/მონვეული სპეციალისტები/ინსტრუქტორები;
- კვლევების ჩატარების შესაძლებლობა;
- გარე ექსპერტიზის ჩატარების შესაძლებლობა;
- თანამედრო სტანდარტებთან შესაბამისი ინფრასტრუქტურა;

ჩართული მხარეები

- საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;
- საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი;
- სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემია/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური/ბაკალავრიატი/სასწავლო ბატალიონი/ოფიცერთა სანაყისი სამხედრო განათლების მიმართულება;
- DEEP;



მოსალოდნელი შედეგები

- კანონმდებლობის მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანილი კურიკულუმები და მარეგულირებელი დოკუმენტაცია;
- აკადემიის მართვის, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, შეფასების პროცესის თბიერება, საჭარობა და გამჭვირვალობა;
- შედეგზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი;
- აკადემიის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეტაპობრივი და მუდმივი სრულყოფა;
- 2022 წელს გეგმიური ავტორიზაციის გავლა;
- 2018 -2024 წელს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია;
- ხარისხის სამსახურის მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელება;
- ნატოს აკრედიტაციის გავლა;

ბანათების განხორციელების რისკები

- სახელმწიფო ხედვის ცვლილება;
- ფორსმაჟორული სიტუაცია;
- 2022 წელს აკადემიის მიერ ავტორიზაციის სტანდარტების დაუკმაყოფილებლობა;
- 2018 წელს ინფორმატიკის და მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების მიერ აკრედიტაციის სტანდარტების დაუკმაყოფილებლობა;
- საგანმანათლებლო პროგრამების მიერ ნატოს სტანდარტების დაუკმაყოფილებლობა.



სტრატეგიული მიზანი 5

სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის განვითარება

ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში სამეცნიერო საქმიანობის განვითარების მიზნით იგეგმება სამეცნიერო ცენტრის ჩამოყალიბება სამეცნიერო ნაშრომების კრებულის პერიოდული გამოცემა.

სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ჩამოყალიბება

სამეცნიერო კვლევითი ცენტრის დანიშნულება/ფუნქცია იქნება საქართველოს შეიარაღებული ძალების განვითარების, სამხედრო განათლების, თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროს განვითარებისთვის ხელშეწყობა, ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის სტრატეგიასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა, საიდუმლო და არასაიდუმლო კვლევების ჩატარება და ანალიზის მომზადება, კონფერენციების მოწყობა და სხვ.

კვლევითი ცენტრის არსებობა მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის სრულყოფილად განხორციელებას. დაეხმარება იუნკერებს, პროფესორ-მასწავლებლებს და ახალგაზრდა მკვლევარებს/ ანალიტიკოსებს, გაიღრმავონ ცოდნა და გამოცდილება თავდაცვის საკითხებზე და განახორციელონ კვლევითი საქმიანობა.

კვლევითი ცენტრის ფუნქციონირება განხორციელდება შემუშავებული კონცეფციის შესაბამისად.

სამეცნიერო ნაშრომების კრებულის განვითარება

აკადემია გამოსცემს ყოველწლიურ სამეცნიერო ნაშრომების კრებულს. იგეგმება ყოველწლიური სამეცნიერო ნაშრომების კრებულის ელექტრონული ვერსიის შემუშავება, ელექტრონული გამოცემის სერიული გამოცემების საერთაშორისო საიდენტიფიკაციო კოდის ISSN მოპოვება და ნაშრომების კრებულის ელექტრონული ვერსიის <http://road.issn.org/> პორტალზე გამოცემა.



საერთაშორისო პორტალზე სამეცნიერო ნაშრომების კრებულის გამოცემა ხელს შეუწყობს აკადემიის მკვლევარების კვლევების საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებისთვის გაცნობას. შესაბამისად, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ორენოვანი (ინგლისური, ქართული) გამოცემა. (ყველა სტატია გამოქვეყნებული იყოს მშობლიურ (ქართულ) და ინგლისურ ენებზე);

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარებისთვის მიმდინარეობს სამუშაოები უცხოეთის პარტნიორ უმაღლეს სასწავლებლებთან კვლევითი პროექტების ფარგლებში თანამშრომლობისთვის, რაც გულისხმობს ერთობლივი კვლევების ჩატარებას, ერთობლივი პუბლიკაციების მომზადებას, კონფერენციებში მონაწილეობას, აკადემიის სამეცნიერო შრომების კრებულში კვლევების გამოქვეყნებას, უცხოელი მკვლევარების მოზიდვას კრებულის სტატიების რეცენზირებისთვის.

მიზნის მიღწევის გზები

- საშტატო ნუსხა
- აკადემიის ბიუჯეტი
- თანამშრომლობა უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან

ჩართული მხარეები

- თავდაცვის სამინისტრო, გენერალური შტაბი
- აკადემიის პროფესორ-მასწავლებლები, ინსტრუქტორები
- მონწეული სპეციალისტები
- უცხოელი საგანმანათლებლო დაწესებულებები და მკვლევარები



მოსალოდნელი შედეგები

- კვლევითი ცენტრი შექმნილია
- აკადემიის პროფესორ-მასწავლებლები, ინსტრუქტორები, მონვეული სპეციალისტები მონაწილეობენ კვლევებში, ანალიზში, აკეთებენ რეკომენდაციებს
- ჩატარებულია მინიმუმ ერთი კვლევა/ანალიზი
- სამეცნიერო ნაშრომების კრებული გამოცემულია <http://road.issn.org/> პორტალზე
- სამეცნიერო კრებულში სტატიები ქვეყნდება ქართულ/ინგლისურ ენებზე
- უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულების მკვლევარები მონაწილეობენ ერთობლივ კვლევებში, სტატიების რეცენზირებაში, აქვეყნებენ სტატიებს აკადემიის ნაშრომების კრებულში

ბანსორციელების რისკები

- არასაკმარისი მხარდაჭერა
- აკადემიის შეზღუდული ბიუჯეტი,
- უცხოელი პარტნიორის არასაკმარისი მზაობა თანამშრომლობისთვის
- ვადრების ნაკლებობა



სტრატეგიული მიზანი 6

საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება

თანამედროვე ცვალებად გარემოში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მჭიდრო კავშირების დამყარებას საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებთან. საქართველოს არჩევანს ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია წარმოადგენს, აქედან გამომდინარე ქვეყანა აქტიურად უნდამუშაობდეს ნატო-სთან თავსებადობის ამბლებსა და დასავლური სამხედრო განათლების სტანდარტებთან დაახლოების მიმართულებით. საქართველოს სამხედრო განათლების საყრდენს ეროვნული თავდაცვის აკადემია წარმოადგენს. სწორედ ამიტომ ეროვნულმა თავდაცვის აკადემიამ ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად უცხოეთის პარტნიორ სამხედრო-სამოქალაქო უნივერსიტეტებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სამეცნიერო-კვლევით წრეებთან ურთიერთობების გაღრმავება დაისახა. ამ ურთიერთობებზე დამოკიდებული აკადემიის პრესტიჟულ, სრულფასოვან სამხედრო სასწავლებლად ჩამოყალიბება, როგორც ეროვნულ, ასევე რეგიონალურ დონეზე. აღნიშნული მიზნის რეალიზაციისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ აკადემიაში მუდმივ რეჟიმში ხორციელდებოდეს საჭირო ინფორმაციის მოძიება, ანალიზი და საერთაშორისო გამოცდილების დანერგვა. არასასურველ ცვლილებებთან ადაპტირება მხოლოდ საუკეთესო პრაქტიკის გამიარებით იქნება შესაძლებელი, რაც თავის მხრივ მთლიანი სასწავლო ციკლის ეფექტურ მართვასა და მოდერნიზებას შეუწყობს ხელს.

ეროვნული თავდაცვის აკადემიის საერთაშორისო თანამშრომლობა შემდეგ პრიორიტეტულ მიმართულებებს მოიცავს:



უცხოეთის სამხედრო-სამოქალაქო უნივერსიტეტებთან ურთიერთგაგების მემორანდუმების გაფორმება და ერთობლივი საგანმანათლებლო-შემეცნებითი ღონისძიებების განხორციელება

საერთაშორისო თანამშრომლობის ინტენსიფიკაცია აკადემიაში უწყვეტ პროცესად მიმდინარეობს. აქტიურად გრძელდება თანამშრომლობის გაღრმავება და ახალი პარტნიორული ურთიერთობების დამყარება სანღვარგარეთის საგანმანათლებლო უნივერსიტეტებთან. უნივერსიტეტებს შორის ორმხრივი თანამშრომლობის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს ურთიერთგაგების მემორანდუმების გაფორმება, რომლის საფუძველზეც იგეგმება სტუდენტებისთვის, პროფესორ-მასწავლებლებისთვის და ადმინისტრაციული პერსონალისთვის საგანმანათლებლო, სამეცნიერო პროექტები, გაცვლითი ღონისძიებები და სტაჟირებები.

საერთაშორისო გაცვლით პროგრამებსა და სასწავლო კურსებში იუნკერთა/მსმენელთა, პროფესორ-მასწავლებელთა, სამხედრო ინსტრუქტორთა მონაწილეობა (სემესტრული გაცვლითი პროგრამები, საზაფხულო სკოლები, სტაჟირებები)

აკადემია იუნკერთა და თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული განვითარების მიზნით უზრუნველყოფს მათს მონაწილეობას გაცვლით პროექტებსა და საერთაშორისო საგანმანათლებლო აქტივობებში. უცხოური გამოცდილების გაზიარება და საუკეთესო სწავლის მეთოდების, სტანდარტების დანერგვა აკადემიაში სწორედ აქტიური ჩართულობით და განახლებული ინფორმაციის მიღება-გაანალიზებით არის შესაძლებელი ისეთ სპეციფიკურ სასწავლო დანესებულებაში, როგორც აკადემიაა. ამ საჭიროებიდან გამომდინარე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა აკადემიის აკადემიური-სამხედრო პერსონალის, იუნკერები/მსმენელების, ასევე დამხმარე პერსონალის უწყვეტ გადამზადებას და კარიერულ წინსვლას.

კადეტთა საერთაშორისო კვირეულის ორგანიზება აკადემიაში - კადეტთა საერთაშორისო კვირეული აკადემიის ყველაზე მასშტაბურ და პრესტიჟულ საერთაშორისო პროექტს წარმოადგენს, რომელიც დიდი პოპულარულობით სარგებლობს, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე. ამ ღონისძიებას ყოველწლიური ხასიათი გააჩნია, რომლის მიზანსაც ქართველი და უცხოელი კადეტების, მომავალი ოფიცრების დაახლოება, მჭიდრო მეგობრული და კარიერული კონტაქტების დამყარება წარმოადგენს.



აქტიური თანამშრომლობის გაგრძელება ნატო-სთან

1. სამხედრო განათლების განვითარების პროგრამა (DEEP) - აკადემიაში სასწავლო პროცესის ეფექტური ფუნქციონირებისათვის უმნიშვნელოვანესია მჭიდრო თანამშრომლობა ნატო-ს საგანმანათლებლო პროგრამებთან. დასავლური სწავლის მეთოდების და ნატო-ს ექსპერტების/სპეციალისტების გამოცდილების გათვალისწინება ეხმარება აკადემიის პროფესორ-მასწავლებლებს უკეთ დაგეგმონ და განახორციელონ საკუთარი აკადემიური საქმიანობა. ამ კუთხით, განსაკუთრებით აღსანიშნავია ნატო-ს სამხედრო განათლების განვითარების პროგრამის (DEEP) ჩართულობა აკადემიის სასწავლო პროგრამების სილაბუსების გადახედვის, პროგრამების მოდერნიზაციის, აკადემიური პერსონალის გადამზადების და თანამედროვე სტანდარტებზე მორგებული სასწავლო მეთოდების დანერგვის პროცესში.

2. ნატო-ს პარტნიორობა მშვიდობისათვის (PfP-C) დისტანციური სწავლების სამუშაო ჯგუფის (ADL WG) წევრია აკადემია და ეთა-ს წარმომადგენელი პერიოდულად იღებს მონაწილეობას აღნიშნულ ჯგუფის ფარგლებში დაგეგმილ აქტივობებში.

3. ნატო-საქართველოს პროფესიული განვითარების პროგრამა (PDP) - აკადემიის პერსონალის ჩართულობა გრძელდება PDP-ის მიერ ორგანიზებულ პროფესიული განვითარების სხვადასხვა აქტივობაში.

4. აკადემია საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია მოთხოვნილი საჭიროებებიდან და პრიორიტეტული მიმართულებებიდან გამომდინარე პერიოდულად განაახლოს ნატო-ს დოკუმენტები: ANP, PARP და PG.

Erasmus + ფარგლებში თანამშრომლობის ინტენსიფიკაცია - აკადემია სხვა ეროვნულ უმაღლეს საგანმანათლებლო უნივერსიტეტებთან და საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად მუშაობს ერასმუს + პროგრამის ამოქმედებაზე, რაც საშუალებას მისცემს აკადემიას მიიღოს ევროპული გამოცდილება და დანერგოს დასავლურ სტანდარტებზე მორგებული სწავლების პრაქტიკა. ამ ეტაპზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს სხვადასხვა უცხოურ და ადგილობრივ უნივერსიტეტთან ერთობლივ პროექტებზე მუშაობის დანერგვასთან დაკავშირებით.



უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებთან ერთად სამეცნიერო/კვლევითი აქტივობების განხორციელება, ერთობლივ პუბლიკაციებზე მუშაობა.

აკადემიის საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტების განსაზღვრისას გამორჩეული ადგილი ეთმობა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გააქტიურებას. ამ დარგში უცხოელი პარტნიორების რეკომენდაციები და გამოცდილება ორმაგად მნიშვნელოვანია, მითუმეტეს იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ აკადემიაში უკვე მიმდინარეობს სამაგისტრო სწავლება და კვლევითი პროექტების განხორციელება სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. მიმდინარეობს მოლაპარაკებები სხვადასხვა უცხოურ უნივერსიტეტთან ერთობლივი პუბლიკაციებისა და სამეცნიერო სტატიების გამოცემის მიმართულებით, ასევე სამეცნიერო ონლაინ მონაცემთა ბაზებზე, ბიბლიოთეკებზე წვდომის მოსაპოვებლად.

სამაგისტრო პროგრამის ინტერნაციონალიზაცია.

მიმდინარეობს ერთობლივი მუშაობა გაერთიანებული სამეფოს ერთობლივი ძალების სამეფო ინსტიტუტთან (RUSI), სამეთაურო სასტაბო კოლეჯის თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო პროგრამისათვის სასწავლო მოდულების შესაქმნელად რომელსაც ჩაატარებენ აღნიშნული ინსტიტუტის წარმომადგენლები.

თავდაცვისა და უსაფრთხოების სპიკერების პროგრამის გააქტიურება.

აკადემიაში სისტემატურად ხორციელდება უსაფრთხოების სექტორში ქართველი და უცხოელი გამოჩენილი ოფიციალური პირების, სამხედრო ოფიცრებისა და ექსპერტების Guest-speaker-ის რანგში მოწვევა აქტუალურ თემებზე ლექციის ჩატარების მიზნით. ეს უზრუნველყოფს პირველ რიგში იუნკერების/მსმენელების, სამხედრო ინსტრუქტორების ცნობადობის ამაღლებას ქვეყანაში და მსოფლიოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით.

თანამშრომლობა ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის კოლეჯთან - ნლიურ სამოქმედო გეგმებზე მუშაობა. ასევე, პერიოდულად ხორციელდება აკადემიის პრიორიტეტული მიმართულებების მიწოდება ევროკავშირისთვის.



მიზნის მიღწევის გზები

- თავდაცვის სამინისტროს მიერ დადებული ორმხრივი ხელშეკრულებები;
- ნატო-ს პროგრამები;
- საგანმანათლებლო გაცვლითი პროგრამები და სტაჟირებები იუნკერებისთვის/მსმენელებისთვის/აკადემიური პერსონალისთვის
- აკადემიებს შორის გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმები და შეთანხმებების მუდმივი გადახედვა.
- უცხოელი ექსპერტების რეკომენდაციები/გამოცდილების გამარება
- ახალი პარტნიორების მუდმივი ძიების პროცესი

მიღწევის საშუალებები:

- თავდაცვის სამინისტროს მიერ დადებული ორმხრივი ხელშეკრულებები;
- ნატო-ს პროგრამები;
- საგანმანათლებლო გაცვლითი პროგრამები და სტაჟირებები იუნკერებისთვის/მსმენელებისთვის/აკადემიური პერსონალისთვის
- აკადემიებს შორის გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმები და შეთანხმებების მუდმივი გადახედვა.
- უცხოელი ექსპერტების რეკომენდაციები/გამოცდილების გამარება
- ახალი პარტნიორების მუდმივი ძიების პროცესი



მოსალოდნელი შედეგები:

- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნებიდან გამომდინარე აკადემიის სტრატეგიული მიზნების, საჭიროებების განხორციელების მხარდაჭერა უცხოელი პარტნიორების დახმარებით და დასავლური გამოცდილების (როგორც აკადემიური სწავლება ასევე სამხედრო წვრთნა) დანერგვა აკადემიაში.

ჩართული მხარეები:

- აკადემიის სტრუქტურული ერთეულები;
- თავდაცვის სამინისტრო/გენერალური შტაბი;
- საერთაშორისო პარტნიორები
- ადგილობრივი უნივერსიტეტები / Think Tank-ები / არასამთავრობო სექტორი

ბანსორციელების რისკები:

- თავდაცვის სამინისტროს არასაკმარისი პოლიტიკური და ფინანსური მხარდაჭერა;
- აკადემიის შეზღუდული ბიუჯეტი;
- უცხოელი პარტნიორის არასათანადო მზაობა თანამშრომლობის განვითარებისათვის;



სტრატეგიული მიზანი 7

აკადემიის ცნობადობის ამაღლება

ერთვნილი თავდაცვის აკადემიის ერთ-ერთ პრიორიტეტს სამიზნე აუდიტორიასთან ეფექტური კომუნიკაციის დამყარება წარმოადგენს. შესაბამისად აუცილებელია მოხდეს მომავალი იუნკერების-თვის/ მსმენელებისთვის და მოგადად ყველა დაინტერესებული პირისთვის აკადემიაში სწავლის, ცხოვრებისა და არსებული პერსპექტივების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება.

აკადემიის საქმიანობისა და არსებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობა

ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე ერთვნილი თავდაცვის აკადემიის, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უკეთ გაცნობის მიზნით გაიზრდება აკადემიის ჩართულობა სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივ ფორუმში, კონფერენციაში, საგანმანათლებლო პროგრამასა და პროექტში. იუნკერების ჩართულობა სხვადასხვა საუნივერსიტეტო თუ ახალგაზრდულ პროექტში გახდება უფრო მასშტაბური. ხოლო ადგილობრივ და საერთაშორისო სამხედრო და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან მემორანდუმების გაფორმების საფუძველზე მოხდება საერთო ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტების დაგეგმვა/განხორციელება და მათში აკადემიის იუნკერების/მსმენელების, სამხედრო და აკადემიური პერსონალის ჩართვა.

აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და სასწავლო პროცესის ადგილზე გაცნობის მიზნით განხორციელდება სხვადასხვა ტიპის შიდა ღონისძიება, როგორცაა ღია კარის დღეები, საჯარო ლექციები, კონფერენციები და სხვა. აღნიშნული აქტივობების განხორციელება ხელს შეუწყობს სკოლის მოსწავლეების, სტუდენტებისა და იუნკერების/ მსმენელების დაახლოებას და შესაბამისად მათთვის აკადემიის საქმიანობისა და არსებული საგანმანათლებლო პროგრამების უკეთ გაცნობას.



სამაგისტრო პროგრამის შესახებ სამიზნე აუდიტორიის ინფორმირებულობა

ვინაიდან თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო პროგრამა არის ახალი და ასევე იგეგმება სხვა სამაგისტრო პროგრამების ამოქმედება, აუცილებელია განხორციელდეს უფრო მასშტაბური და კონკრეტული PR კამპანიები, რაც კონკრეტულად მიმართული იქნება სამაგისტრო პროგრამების საზოგადოებისთვის უკეთ გაცნობისკენ. აღნიშნულის მისაღწევად დაიგეგმება საინფორმაციო შეხვედრები სასწავლო დაწესებულებების ხელმძღვანელობასა და სამიზნე აუდიტორიასთან. ამას გარდა, პროგრამის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით აკადემიის ხელმძღვანელობა აქტიურ მონაწილეობას მიიღებს სხვადასხვა საგანმანათლებლო გადაცემასა და პროექტში.

საზოგადოებასთან უწყვეტი კონტაქტის შენარჩუნება

საზოგადოებასთან უწყვეტი კონტაქტის შესანარჩუნებლად 2018 წლიდან დაიწყება აქტიური სოციალური მედია კამპანია და მოხდება ეროვნული თავდაცვის აკადემიის ოფიციალური ვებგვერდის განახლება, რათა ვებგვერდი იყოს უფრო მორგებული მომხმარებელზე. ვებგვერდის ოპტიმიზაცია საშუალებას მისცეს მომავალ იუნკერებს/მსმენელებს და ყველა დაინტერესებულ პირებს მარტივად მიიღონ ინფორმაცია მათთვის საინტერესო საკითხებზე.

საზოგადოებისთვის აკადემიაში სწავლის უპირატესობის გაცნობა

ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში სწავლისა და სამხედრო განათლების მიღების უპირატესობების გაცნობის მიზნით მოხდება აკადემიის კურსდამთავრებული ოფიცრების მიღწევებისა და შეიარაღებულ ძალებში მათი კარიერული განვითარების შესახებ ინფორმაციის გავრცელება. ამას გარდა, საზღვარგარეთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლებლად გაგზავნილი იუნკერების/მსმენელების შესახებ სიუჟეტების მომზადება და აკადემიის სამიზნე აუდიტორიისთვის ამ ინფორმაციის მიწოდება.



მიზნის მიღწევის გზები

- აკადემიის ბიუჯეტი;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი;
- სხვა სახელმწიფო სტრუქტურების შემოწირულობები;
- უცხოელი პარტნიორებისა და ორგანიზაციების მატერიალური/ფინანსური დახმარებები;
- სარეკლამო და საინფორმაციო კამპანიები;
- აკადემიის ვებ-გვერდის მართვა და სოციალური ქსელების სათანადო გამოყენება;

მოსალოდნელი შედეგები:

- აკადემიის ცნობადობა არის გაზრდილი;
- აკადემიის უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლო პროგრამები პოპულარული და მოთხოვნადი აბიტურიენტებში;
- აკადემიის სამაგისტრო პროგრამებზე სწავლა პრესტიჟული ქვეყნის უსაფრთხოების სფეროში მოსამსახურე ან მოღვაწე პირებისათვის;
- საზოგადოების მხრიდან საქართველოს შეიარაღებული ძალებში მოსამსახურეთა რაოდენობა გაზრდილია;
- უცხოეთის სამხედრო სასწავლებლებში მყოფი იუნკრები/მსმენელების რაოდენობა და ხარისხი გაზრდილია;



ჩართული მხარეები:

- აკადემიის ადმინისტრაცია;
 - სამოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება;
 - კავშირგაბმულობისა და ინფორმაციული სისტემების განყოფილება;
 - საფინანსო სამმართველო;
 - შესყიდვების განყოფილება;
- აკადემიის საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილება;
- აკადემიის სასწავლო სამსახური;
- აკადემიის სამეთაურო-საშტაბო კოლეჯი;
- აკადემიის ბაკალავრიატი;
- თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი;
- პარტნიორი უმაღესი საგანმანათლებლო დაწესებულებები და საგანმანათლებლო რესურს-ცენტრები;
- საინფორმაციო სააგენტოები, ტელევიზიები და სარეკლამო კომპანიები;

ბანსორციელების რისკები:

- ფინანსური შეზღუდვები;
- ვებ-გვერდის და სოციალური ქსელების არასათანადო ადმინისტრირება;
- აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამების (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) მოთხოვნილ სტანდარტებთან შედარებით არასათანადო დონე.



სტრატეგიული მიზანი 8

აკადემიის ინფრასტრუქტურა და მათერიალური ბაზის განვითარება

ეროვნული თავდაცვის აკადემიის ერთ-ერთ პრიორიტეტს აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება წარმოადგენს. ეროვნული თავდაცვის აკადემია განთავსებულია კეთილმოწყობილ ბაზაზე, თუმცა თანამედროვე სტანდარტებთან თავსებადობაში მოსვლისთვის აუცილებელია სისტემატურად მოხდეს არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დახვეწა/განვითარება.

სასწავლო ინფრასტრუქტურის განვითარება

აკადემიის ენობრივი მომზადების სკოლა წარმოადგენს შეიარაღებული ძალების უცხო ენებში მომზადების ძირითად სტრუქტურულ ერთეულს და შესაბამისად მისი ინფრასტრუქტურული და მატერიალურ-ტექნიკური კეთილმოწყობა აკადემიის მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით მოხდება ენობრივი მომზადების სკოლის აკადემიის ძირითად დისლოკაციის ადგილზე გადატანა და შესაბამისი შენობა-ნაგებობის მოწყობა. აღნიშნული მოცავს, როგორც არსებული ნაგებობის მოდერნიზაციას, ასევე მასში თანამედროვე სასწავლო აუდიტორიების, ინდივიდუალური მომზადების ოთახების, ბიბლიოთეკის და მოსასვენებელი ადგილების მოწყობას.

იმისათვის, რომ აკადემიის სამეთაურო-სამშაბო კოლექტი მიუახლოვდეს ნატო-სა და პარტნიორი ქვეყნების სტანდარტებს და სასწავლო პროცესი განხორციელდეს სრულფასოვნად, კოლექტისთვის შეირჩევა მუდმივი დისლოკაციის ადგილი. კოლექტის შენობის განსამღვრის შემდეგ მოხდება მისი ინფრასტრუქტურის შესაბამისი აღჭურვა და გამართვა. კოლექტის შენობაში მოეწყობა თანამედროვე სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა და დამხმარე ლოგისტიკური სათავსოები.

ბაკალავრიატის საფეხურზე იგეგმება ახალი პროგრამის - ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის დამატება. პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების მიზნით პირველ რიგში მოხდება ბაკალავრიატის სასწავლო შენობებში შესაბამისი სასწავლო კლასების მოწყობა, სადაც იუნკერებს საშუალება ექნებათ განახორციელონ პროგრამით გათვალისწინებული თეორიული და პრაქტიკული სავარჯიშოები.



საცხოვრებელი-საყაზარმო გარემოს მონესრიგება

ერთვული თავდაცვის აკადემია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ასევე არის სამხედრო ობიექტი და შესაბამისად მისი დანიშნულებიდან გამომდინარე უნდა ფუნქციონირებდეს დაცვისა და უსაფრთხოების ერთიანი სისტემა. აღნიშნული სისტემის გამართული ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია აკადემიის ტერიტორიაზე დაცვის ქვედანაყოფის განთავსების (საცხოვრებელი) ადგილის გამოყოფა და მონყობა.

აკადემიის ტერიტორიაზე საყარაულო შენობა-ნაგებობის არსებობა სამხედრო დანიშნულებასთან ერთად სასწავლო ფუნქციასაც იძენს. სათანადო მონყობილი საყარაულო ნაგებობა, ხელს შეუწყობს აკადემიის ბაზის დაცვის გამართულ ფუნქციონირებას, ასევე დაეხმარება აკადემიის იუნკერებსა და ოფიცერთა მომზადების საკანდიდატო კურსის მსმენელებს აიმაღლონ სამხედრო საქმის ცოდნის დონე და პრაქტიკულად გამოიმუშაონ საყარაულო წესდების მოთხოვნათა შესრულების უნარები.

აკადემიის კეთილმონყობილი და თანამედროვე სტანდარტებით აგებული ბაზის არსებული სტანდარტების შესანარჩუნებლად, პერიოდულად მოხდება აკადემიის ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების გარე ფასადებისა და სახურავების რემონტი, შიდა საყოფაცხოვრებო სისტემის ეტაპობრივი მომსახურება და ახალი საყოფაცხოვრებო სისტემების გამართვა.

აკადემიის სპეციფიკიდან გამომდინარე აკადემიაში ხშირად ხდება საერთაშორისო და ადგილობრივი დელეგაციების მიღება/განთავსება, რაც სტუმართა კატეგორიიდან და რაოდენობიდან გამომდინარე ხშირად წარმოქმნის პრობლემებს. აღნიშნული პრობლემების გადაჭრის მიზნით დაგეგმილია აკადემიის ტერიტორიაზე სასტუმრო შენობის აშენება და მონყობა. არსებულ საცხოვრებელ შენობა-ნაგებობებში ასევე იგეგმება კეთილმონყობილი საცხოვრებელი ყაზარმული ტიპის დამატებით ოთახების მონყობა.



სპორტული და სანვრთნელი ბაზების მოწყობა

იუნკერთა და მსმენელთა სასწავლო პროგრამებში დიდი ადგილი უჭირავს სპორტულ წრეებსა და ფიზიკურ მომზადებას. შესაბამისად, მოხდება აკადემიის ტერიტორიაზე არსებული სპორტული და სანვრთნელი ბაზების განვითარება და თანამედროვე სტანდარტებთან თავსებადობაში მოყვანა.

აკადემიის სამხედრო მოსამსახურეთა, განსაკუთრებით კი იუნკერთა/ მსმენელთა საცეცხლე დისციპლინაში მომზადების მიზნით აკადემიის ტერიტორიაზე ამოქმედდება დახურული სასროლეთი (პისტოლეტის ტირი), ხოლო იუნკერთა/მსმენელთა ფიზიკური შესაძლებლობებისა და ფსიქოლოგიური მდგრადობის გაუმჯობესებისთვის მოეწყობა გამძლეობათა ბოლი.

სპორტული წრეების განვითარების მიზნით განხორციელდებიან იქნება აკადემიის ტერიტორიაზე არსებული რაგბისა და ფეხბურთის მოედნების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად კეთილმოწყობა. აღნიშნულ მოედნებზე ასევე შესაძლებელი იქნება სხვადასხვა სახის სპორტული შეჯიბრის ჩატარება.

მიზნის მიღწევის გზები:

- აკადემიის ბიუჯეტი;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი;
- სხვა სახელმწიფო სტრუქტურების შემოწირულობები;
- უცხოელი პარტნიორებისა და ორგანიზაციების შემოწირულობები;
- სხვა შემოსავლები და/ან გრანტები;



მოსალოდნელი შედეგები:

- აკადემიის ყველა სასწავლო სტრუქტურულ ერთეულს გააჩნია დამოუკიდებელი და კეთილმონწყობილი სასწავლო ინფრასტრუქტურა;
- აკადემიაში სასწავლო კლასების და ლაბორატორიები თანამედროვე სტანდარტებით არის მონწყობილი;
- საცხოვრებელი და საცაზარმე გარემო არის გამართული და სრულად შეესაბამება აკადემიის საჭიროებებსა და მოთხოვნებს;
- აკადემიის გააჩნია სავლე-საწვრთნელი ბაზა, ასეულის დონის ტექნიკური სწავლებების დაგეგმვა-აღსრულებისათვის;
- აკადემიის ტერიტორია არის დაცული და გამართულად ფუნქციონირებს საყარაულო სამსახური;
- სპორტული ინფრასტრუქტურა სრულად პასუხობს დადგენილ სტანდარტებსა და მოსამსახურეთა სპორტული განვითარების მოთხოვნებს;

ჩართული მხარეები:

- ეროვნული თავდაცვის აკადემიის ადმინისტრაცია;
- მატერიალურ-ტექნიკური დაგეგმვის განყოფილება;
 - ლოგისტიკის უზრუნველყოფის განყოფილება;
 - საფინანსო სამმართველო;
 - შესყიდვების განყოფილება;
- თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტი;
- გენერალური შტაბის ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობა;
- კერძო სპროექტო და სამშენებლო კომპანიები;



განხორციელების რისკები:

- სამეთაურო-საშტაბო კოლექტივების საკუთარი შენობა-ნაგებობის არ ქონა;
- აკადემიის სახელმწიფო ბიუჯეტით არასაკმარისი დაფინანსება;
- თავდაცვის სამინისტროს საშუალოვადიანი (2017-2020) ბიუჯეტის პროგრამით აკადემიისათვის დამატებითი ინფრასტრუქტურული პროექტების არ განსამდგრა;
- დამატებითი საფინანსო რესურსების მოუპოვებლობა;
- ინფრასტრუქტურული შესრულების სამუშაოების ხარისხის კონტროლი.

დანართი 1

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამწლიანი სამოქმედო გეგმა.

დანართი 2

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის გრძელვადიანი შვიდწლიანი სამოქმედო გეგმა.





**სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდასცვის
აკადემია**



**სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს
ეროვნული თავდასცვის აკადემიის
განვითარების სტრატეგიული გეგმა
2018-2024 წ.წ.**